


მთავარი რედაქტორი

ტარიელ კინწურაშვილი



მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მეოთხე ბურთი.
ბრაზილია, 1950 წელი.

დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მოგვაგონანია თქვენი წარმატებისთვის!

დამფუძნებლები:

კობა ბელოძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50
<http://bedoidze.site.ge/>

ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;

ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com
tariel1981@hotmail.com



რედაქტორისგან



ჟურნალი „კომენტატორი“ 2013 წელს დაიბადა. მის შექმნას შეიძლება ითქვას დონკიხოტური სულისკვეთება უძლოდა წინ, რადგან დღეს-

დღეობით საქართველოში ერთადერთი საფეხბურთო ჟურნალი მე და ჩემმა მეგობარმა, არაფრისაგან „გამოვიძინეთ“, გამოვიტანეთ დღის სინათლეზე და „კომენტატორმა“ მოკლე დროში თავისი ერთგული მკითხველიც ჰპოვა. აქედან გამომდინარე ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ საფეხბურთო „ქარბორბალაში“ ტრიალს...

აი უკვე 2014 წელია, რომელიც გამორჩეული უნდა გამოდგეს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. დამდეგ ზაფხულს მსოფლიოს საიუბილეო მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატი იმ ქვეყანაში გაიმართება, სადაც ფეხბურთს ყველაზე ლამაზად თამაშობენ. დიას ლამაზად და ამასთანავე ყველაზე შედეგიანთაც.

მსოფლიო შეთანხმდა იმაზე, რომ ფეხბურთი სპორტის ყველაზე სანახაობრივი სახეობაა. ინგლისელებმა, მართლაც საოცარი თამაში გამოიგონეს, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მთელ მსოფლიოს. ბრაზილიაში გამართულ პლანეტის პირველობას განსაკუთრებული სურნელი და მომხიბვლელობა ექნება, რადგან ამ ქვეყანაში ფეხბურთი სულ სხვა განზომილებაა. ბრაზილიელებისთვის ეს თამაში სიცოცხლის შემადგენელი ნაწილია.

ტურნირს დამატებით ხიბლს სძენს ის ფაქტი, რომ ფინალურ ეტაპზე ყველა იმ ნაკრებმა მოიყარა თავი რომლებიც საფეხბურთო მოდას აკანონებენ და უმაღლესი მიზნებისათვის ბრძოლა თითქმის ყოველთვის ხელენიფებათ. დაე გაიმარჯვოს ღირსეულმა!

„კომენტატორი“ გისურვებთ: ჯანმრთელობას, დრამატიზმით აღსავსე მსოფლიო ჩემპიონატს, საქართველოს ნაკრების წინსვლას, ქართული კლუბების წარმატებულ ასპარეზობას საერთაშორისო ასპარეზზე და სრულიად ქართული ფეხბურთის აღორძინებას.

ტარიელ კინწურაშვილი

სარჩევნი

გათართობების პოლიტიკა საქართველოს სასარგებლოდ - 4

ოქროს ბურთი- - - - - 5

შავი ფერის ფრანგი ოქრომჭედლები- - - - - 6

ეს ნეიმარია - - - - - 7

ჟოან სალდანიას თერთმეტი „მტაცებელი“- - - - - 8

სასიკვდილო ავტოგოლი - - - - - 10

მიუნხენური ლეგენდა - - - - - 11

ვიტალი დარასელია - - - - - 13

მრავლისმეტყველი ფაქტები - - - - - 14

მარადონა რეი - - - - - 16

ფეხბურთი და ღირსება - - - - - 20

ბრაზილია – 2014 - - - - - 24

საფეხბურთო ტვინსაღრღნელი - - - - - 26

მსოფლიოს შუ-20 საფეხბურთო ჩემპიონატის ქვუფები

A ჯგუფი	ბრაზილია	ხორვატია	მექსიკა	კამერუნი
B ჯგუფი	ესპანეთი	პოლანდია	ჩილე	ავსტრალია
C ჯგუფი	კოლუმბია	საბერძნეთი	კოტდივუარი	იაპონია
D ჯგუფი	ურუგვაი	კოსტა-რიკა	ინგლისი	იტალია
E ჯგუფი	შვეიცარია	ეკვადორი	საფრანგეთი	ჰონდურასი
F ჯგუფი	არგენტინა	ბოსნია	ირანი	ნიგერია
G ჯგუფი	გერმანია	პორტუგალია	განა	აშშ
H ჯგუფი	ბელგია	რუსეთი	ალჟირი	ს.კორეა

თქანსაჟიხისი

კონტინენტის პოლიტიკა საქართველოს სასაზღვრო

წარსულში სახელგანთქმული ფრანგი ფეხბურთელის და ამჟამად უფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის გადანყვეტილების თანახმად – 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, თექვსმეტის ნაცვლად ოცდაათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ეს გადანყვეტილება საქართველოს ნაკრებისათვის მისაღებია, რადგან დამატებით რვა გუნდს გაუჩნდება ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი.



Michel Platini
UEFA President

საქართველოს ნაკრებმა ბოლოს ძლიერი გუნდებიდან ხორვატია დაამარცხა. თუმცა ჩვენს ეროვნულ გუნდს მათზე არანაკლებ ძლიერი ნიც დაუჯაბნია, (ჩვენ მოვუგეთ: მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილზე გასულ ბულგარეთს, პრემიერლიგაში ნანრთობი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ უელსს, საფრანგეთის ორჯერ დამარცხებულ შოტლანდიას, უნგრეთს, პოლონეთს, რუსეთს, ურუგვაისს, თურქეთს და ა.შ...) ჯგუფში საპატიო მესამე ადგილზეც გასულა და თან კარგი ახალგაზრდა თაობაც უახლოვდება შინდისფერ ლეგიონს. აქედან გამომდინარე შესარჩევების მოახლოებასთან ერთად იმედის ნაპერწკალი თანდათან უფრო გაღვივდება. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები მოგეხსენებათ 2014 წლის შემოდგომაზე იწყება, მანამდე კი საფეხბურთო გურმანებს ცხელი ზაფხული გველის, წინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია!

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა ზრდასთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს მოვუწოდებთ!

საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ – გასვლის შანსი გაიზარდა და შანსს გამოყენება უნდა.

ახლა კი გუნდების ზრდას სხვა მხრიდან შევხედოთ. ისმის კითხვა:

– იქნება კი პლატინის იდეა ევროპული და ზოგადად მსოფლიო ფეხბურთისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი?

– გუნდების გაზრდა უფრო განავითარებს ფეხბურთს თუ ახალ პრობლემებს წამოჭრის?

ამ გადანყვეტილების ავკარგიანობის არგუმენტები იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მივიჩნევთ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიზნად.

საფრანგეთის 2016 წლის ჩემპიონატზე მათემატიკურ ასპექტში დაბალანსებული გუნდების რაოდენობა ვერ მოიყრის თავს, მათი რიცხვი ოცდაათი უნდა იყოს, რაც კლასიკური სისტემისათვის იდეალური არ არის. უფას ორმოცდაცამეტი წევრიდან საფრანგეთის მინდვრებზე თითქმის ნახევარი იქნება წარმოდგენილი და ლოგიკურად უფრო უფრო ჩატარებული მატჩებიც გაიზრდება.

ტურნირსაც დინამიურობა მოაკლდება.

მსოფლიო ჩემპიონატი სულ სხვა ფენომენია და

მისი სპეციფიკაც განსხვავებულია კონტინენტების პირველობებთან შედარებით, ხოლო როცა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე მეტი გუნდი იქნება დაშვებული, მით უფრო დაეცემა ფეხბურთის სტანდარტი. უამბიციო გუნდების რიცხვი გაიზრდება და ძლიერი ნაკრებების თამაშს ეფექტი დაეკარგება, ვინაიდან მათ გამოსვლას სუსტი გუნდები გააუფერულებენ.

პლატინის არ მოუვიდა ისეთი აზრი რაც ძლიერი გუნდებისა და უმაღლესი დონის ფეხბურთელების წარმოჩენასა და მათი სათამაშო კლასის ზრდას შეუწყობდა ხელს. სამაგიეროდ მან გაფართოების პოლიტიკა აირჩია და ამით უდიდესი მასშტაბის სარეკლამო ღონისძიებების სერია დაგეგმა, რაც ასტრონომიულად დიდ შემოსავლებთან არის კავშირში. გამოდის რომ კონტინენტის პირველობაზე ფეხბურთის ხარისხი მეორე ხარისხოვანი იქნება, პრიორიტეტად კი სარეკლამო მიზნები გამოიკვეთა.

ასეა თუ ისე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეთა გაზრდით, განსაკუთრებით საშუალო ძალის ევროპული გუნდები იხიერებენ. პლატინის უფას პრეზიდენტად არჩევის გამოკვეთილი პოლუსიც ხომ ის იყო, რომ საშუალო რანგის ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობები მისცემოდათ. თვით პლატინი კი არ ეთანხმება სათამაშო ხარისხის დაქვეითების პერსპექტივას და გაფართოების პოლიტიკის მთავარ ხიბლს მრავალფეროვნებაში ხედავს.



XII

ოქროს ბურთი

წლების წინ საფეხბურთო ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ ჟურნალისტმა გაბრიელ ანომ კოლეგები გამოკითხა. ამ გამოკითხვის შედეგად ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისელი სტენლი მეთიუზი დასახელდა, რომელსაც „ოქროს ბურთი“ გადაეცა. ასე ჩაეყარა საფუძველი „ოქროს ბურთის“ ანუ Ballon d'Or-ის გამოკითხვას, რომელსაც ყოველწლიურად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა

დაესახელებინა.

ამ გამოკითხვაში არაევროპელ მოთამაშეს მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ 1995 წლიდან წესი შეიცვალა და იქიდან მოყოლებული უკვე სხვა კონტინენტის ფეხბურთელსაც შეეძლო ევროპის საუკეთესო მოთამაშე გამხდარიყო.

2007 წლიდან „ოქროს ბურთის“ მოპოვების არეალი უფრო გაფართოვდა, რადგან მისი დაუფლება ნებისმიერი კონტინენტის წარმომად-

გენელისთვის გახდა შესაძლებელი.

2010 წლიდან ფიფას და „ოქროს ბურთის“ გამოკითხვები გაერთიანდა. „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი კრიტერიუმები შეცვალა. ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი: ჟურნალისტებმა, ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებმა და ნაკრებების კაპიტნებმა უნდა დაასახელონ. ამ პრიზს კი ახალი სახელი „ფიფას ოქროს ბურთი“ ეწოდა.

ნაწმოვიღებო ოქროს ბურთის ყველა დაჯილდოებული:

- 1956 წელი. სტენლი მეთიუზი (ინგლისი)
- 1957 წელი. ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი)
- 1958 წელი. რაიმონ კოპა (საფრანგეთი)
- 1959 წელი. ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი)
- 1960 წელი. ლუის სუარესი (ესპანეთი)
- 1961 წელი. ომარ სივორი (იტალია)
- 1962 წელი. იოჟეფ მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია)
- 1963 წელი. ლევ იაშინი (საბჭოთა კავშირი)
- 1964 წელი. დენის ლოუ (შოტლანდია)
- 1965 წელი. ეუსებო (პორტუგალია)
- 1966 წელი. ბობი ჩარლტონი (ინგლისი)
- 1967 წელი. ფლორიან ალბერტი (უნგრეთი)
- 1968 წელი. ჯორჯ ბესტი (ჩრ. ირლანდია)
- 1969 წელი. ჯანი რივერა (იტალია)
- 1970 წელი. გერდ მიულერი (გფრ)
- 1971 წელი. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)
- 1972 წელი. ფრანც ბეკენბაუერი (გფრ)
- 1973 წელი. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)
- 1974 წელი. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)
- 1975 წელი. ოლეგ ბლოხინი (საბჭოთა კავშირი)
- 1976 წელი. ფრანც ბეკენბაუერი (გფრ)
- 1977 წელი. ალან სიმონსენი (დანია)
- 1978 წელი. კევინ კიგანი (ინგლისი)
- 1979 წელი. კევინ კიგანი (ინგლისი)
- 1980 წელი. კარლ ჰაინც რუმენიგე (გფრ)
- 1981 წელი. კარლ ჰაინც რუმენიგე (გფრ)
- 1982 წელი. პაოლო როსი (იტალია)
- 1983 წელი. მიშელ პლატინი (საფრანგეთი)
- 1984 წელი. მიშელ პლატინი (საფრანგეთი)
- 1985 წელი. მიშელ პლატინი (საფრანგეთი)
- 1986 წელი. იგორ ბელანოვი (საბჭოთა კავშირი)
- 1987 წელი. რუუდ გულიტი (ჰოლანდია)
- 1988 წელი. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
- 1989 წელი. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
- 1990 წელი. ლოთარ მათეუსი (გფრ)
- 1991 წელი. ჟან პიერ პაპენი (საფრანგეთი)
- 1992 წელი. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
- 1993 წელი. რობერტო ბაჯო (იტალია)
- 1994 წელი. ხრისტო სტიოიჩოვი (ბულგარეთი)
- 1995 წელი. ჯორჯ ვეა (ლიბერია)
- 1996 წელი. მათიას ზამერი (გერმანია)
- 1997 წელი. რონალდო (ბრაზილია)

- 1998 წელი. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
- 1999 წელი. რივალდო (ბრაზილია)
- 2000 წელი. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)
- 2001 წელი. მაიკლ ოუენი (ინგლისი)
- 2002 წელი. რონალდო (ბრაზილია)
- 2003 წელი. პაველ ნედვედი (ჩეხეთი)
- 2004 წელი. ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)
- 2005 წელი. რონალდინიო (ბრაზილია)
- 2006 წელი. ფაბიო კანავარო (იტალია)
- 2007 წელი. კაკა (ბრაზილია)
- 2008 წელი. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)
- 2009 წელი. ლიონელ მესი (არგენტინა)
- 2010 წელი. ლიონელ მესი (არგენტინა)
- 2011 წელი. ლიონელ მესი (არგენტინა)
- 2012 წელი. ლიონელ მესი (არგენტინა)
- 2013 წელი. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)



** ალფრედო დი სტეფანო და ომარ სივორი ეროვნებით არგენტინელები იყვნენ, არგენტინის ნაკრების მაისურითაც ჰქონდათ თამაშები ჩატარებული, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც „ოქროს ბურთი“ მოიპოვეს, დი სტეფანო ესპანეთის, ხოლო სივორი იტალიის ნაკრებში გამოდიოდა.

ტიპანაზი

შავი ფერის ფრანგი ოქრომჭედლები

მეოცე საუკუნის ბოლოს საფრანგეთს დაბალანსებული, მონოლითური გუნდი ჰყავდა, მაგრამ მათ გამორჩეულად ძლიერ რგოლს დაცვის ხაზი წარმოადგენდა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ლილიან ტიურამი გახლდათ.

საფეხბურთო კარიერის გარიჟრაჟზე ლილიან ტიურამი „პარი სენ ჟერმენის“ სელექციონერებმა დაინუნეს. მათ მისი ფეხბურთისთვის შეუსაბამო წვრილი ფეხები და ახლომხედველობა არ მოეწონათ. ტიურამსაც კარიერის დაწყება დედაქალაქური გრანდის ნაცვლად გარეუბნის დაბალი დონის კლუბ „ლუზიტანოსში“ მოუხდა. სწორედ ამ კლუბში შენიშნეს ლილიან „მონაკოს“ სკაუტებმა. ტიურამმა „მონაკოში“ ადაპტაცია მარტივად გაიარა და ცოტა ხანში ისეთი მაღალი დონის მოთამაშეების გვერდით ათამაშდა როგორებიც იყვნენ: კლინსმანი, შიფო, ჯორკაეფი და სხვები...

მონაკოს მაშინდელი მწვრთნელი არსენ ვენგერი იყო. მან ტიურამი დაცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა. ფილოსოფოსმაც როგორც მას ზედმეტ სახელად ეძახდნენ მწვრთნელის ნდობა გაამართლა და ხსენებულ პოზიციაზე ჩინებულად ათამაშდა.

„ფილოსოფოსი“ ტიურამს ტყუილად არ შეარქვეს, რადგან მას კითხვა ძალიან უყვარდა და განსაკუთრებით ფილოსოფიურ ლიტერატურას ანიჭებდა უპირატესობას. საფრანგეთის ნაკრებსა და ტურინის „იუვენტუსის“

ფრანგებს არაერთხელ ჰყავდათ ძლიერი ნაკრები... ჯერ მარტო ფონტენი-სა და კოპას ან პლატინის დროინდელი გუნდების გახსენება რად ლირს, მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულამდე ფრანგების მონაგარი ოდენ 1984 წელს მოგებული ევროპის ჩემპიონატი იყო. მეოცე საუკუნის ბოლოს კი საფრანგეთის ნაკრებში არაერთმა ძლიერმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი და 1998 წელს მსოფლიო, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგეს. მათ მიერ კონფედერაციის თასის ორჯერ მოპოვებაც აღნიშვნის ღირსია.

რაც შეეხება საკლუბო ასპარეზს, ევროპის ყველაზე წონადი საკლუბო გათამაშების ჩემპიონთა ლიგის თასი ფრანგულ კლუბს მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული. ფრანგული ფეხბურთის ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი შეიტანეს ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის ფეხბურთელებმა. გესურს წარმოგიდგინოთ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მოთამაშე ლილიან ტიურამი, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი ტიური ანრი და 1992 წელს მარსელის „ოლიმპიკის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგებაში უდიდესი წვლილის შემტანი ბაზილ ბოლი.


გასვლით მატჩებზე მისი ბარგის ნახევარს სწორედ წიგნები შეადგენდა.

ტიურამი ნაკრებშიც მარჯვენა ფლანგზე ირჯებოდა და სწორედ ამ პოზიციაზე გაიბრწყინა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე. მან ნახევარფინალურ მატჩში ხორვატიის ნაკრებს ორი გოლი გაუტანა, მისმა გუნდმა ანგარიშით 2:1 მოიგო და ამ გამარჯვებით ფრანგები ფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ლილიან ტიურამს ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი და ისიც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

1998 წელს ლილიან ტიურამმა, ბერნარ დიომედმა და ტიური ანრიმ, მსოფლიო თასი კუნძულ გვადელუპეზე ჩაიტანეს. ტიურამი და დიომედი წარმოშობით ამ კუნძულიდან არიან, ხოლო ანრის რაც შეეხება, მას დედა ჰყავს

გვადელუპელი. ამ ფაქტის აღსანიშნავად გუბერნატორმა ალლუმი და სახალხო ზეიმი გამართა.

ანრი ვახსენეთ და მასზე აუცილებლად ითქვას, რომ ფრანგული ფეხბურთის გამარჯვებებში მისი ღვაწლიც ფასდაუდებელია. განსაკუთრებით გამოსარჩევია ტიურის ძალიან



ლილიან ტიურამი ევროპის ჩემპიონატის თასით



ბაზილ ბოლი და მარკო ვან ბასტენი

ძლიერი თამაში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე.

ანრი ლონდონის „არსენალთან“ ასოცირდება, ისევე როგორც ტიურამი ტურინის „იუვენტუსთან“ – თუმცა გარკვეული პერიოდი მათ ერთ კლუბში, კატალონიურ „ბარსელონაში“ გაატარეს, ხოლო სანამ ანრი „ბარსაში“ გადავიდოდა – ერთხელ, ლონდონის „არსენალის“ ყოფილ ლეგენდარულ თავდამსხმელს იან რაიტს ესპანური გამოცემის AS-ის ჟურნალისტმა ტიური ანრის „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლა-არგადასვლის თაობაზე ამტყდარი მითქმა-მოთქმის ფონზე შემდეგი კითხვა დაუსვა:

– წარმოიდგინეთ, ვითომ ამჟამად ერთ-ერთი მოქმედი კაშ-

კაშა ვარსკვლავი ხართ და „ბარსელონადან“ მიიღეთ შემოთავაზება, თქვენი გუნდი კი კრიზისშია, დასთანხმდებოდით კატალონიელთა წინადადებას?

იან რაიტის პასუხი ასეთი იყო: – ანრიმ „არსენალი“ რომ დატოვოს, მის მიმართ აუგი სიტყვა არ დამცდება. ტიერი მალე ოცდაათი წლის გახდება და იმ ტიტულების მოგება სწადია, რომლებიც ჯერ არა აქვს. ამის გარდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბარსელონაში“ პელებს, მარადონას და რონალდოს დარი ფეხბურთელის გვერდით ითამაშებს. რონალდინიო სწორედ ამ საფეხბურთო ელიტას მიეკუთვნება.

დიახ, ანრი „ბარსელონაში“ გადავიდა და მართალია ისეთ დონეზე ვერ ითამაშა, როგორც „არსენალში“ თამაშობდა, მაგრამ ცუდათაც არ წარმოუჩენია თავი, საკმაო რაოდენობის გოლები გაიტანა, ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებზე არანაკლები სიძლიერის მოთამაშეს ლიონელ მესისაც კარგად შეეწყო მოედანზე და კატალონიური გუნდის შემადგენლობაში სანუკვარი ჩემპიონთა ლიგის თასიც აღმართა.

მიუხედავად ყველაფრისა ტიერი ანრის საკლუბო ფეხბურთის მწვერვალად ლონდონის „არსენალი“

ითვლება. ის ამ გუნდის სული და გული იყო და მისი წინამძღოლობით ერთხელ „არსენალმა“ პრემიერლიგა წაუგებლად მოიგო, ჩემპიონთა ლი-



ტიერი ანრის ძეგლი

გის ფინალშიც გავიდა და სწორედ იმ „ბარსელონასთან“ წააგო, სადაც შემდგომ მათმა ლიდერმა მიაშურა.

კლუბმა ფეხბურთელის ღვაწლი დააფასა და „არსენალის“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიას ტიერი ანრის ძეგლი ამშვენებს.

ტიურამისა და ანრის შემდეგ კიდევ ერთი ზანგი ფეხბურთელის ჯერიც დადგა. ბაზილ ბოლიც ერთ-ერთი იმთაგანია, რომელმაც ფრანგულ ფეხბურთს ოქრო „გამოუჭედა“. ბაზილ ბოლი, იგივე ბაზილიო მარსელის „ოლიმპიკის“ სიმბოლოა. ის „ოლიმპიკთან“ ერთად ჩემპიონთა თასის ფინალში პირველად 1991 წელს გავიდა და ბელგრადას „ცრვენა ზვეზდასთან“ დამარცხდა. ორი წლის შემდეგ ის კვლავ გავიდა ფინალში, სადაც უძლიერესი „მილანი“ ელოდა. მაშინდელ „მილანში“ „ოლიმპიკის“ ყოფილი ფეხბურთელი ფრანგი ჟან პიერ პაპენი გამოდიოდა. უხეშობით განთქმულმა ბაზილიომ თანამემამულე პაპენს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ბევრს ეცდები - ლეში ხარ“.

ფინალი მარსელელებმა სწორედ ბაზილ ბოლის ერთადერთი გატანილი გოლის წყალობით მოიგეს. ბაზილ ბოლი გმირიც გახდა და ანტიგმირიც. მან ევროპის საუკეთესო თავდასხმელი მარკო ვან ბასტენი დაამტკიცა, რის შემდეგაც ჰოლანდიელმა ფეხბურთის თამაში ველარ შეძლო და კარიერა ნაადრევად დაამთავრა.



მისი ტექნიკური შესაძლებლობები უსაზღვროა. სიმსუბუქე და ბალანსირების საუცხოო უნარი მოედანზე ეფექტურად მანევრირების საშუალებას აძლევს. იშვიათია მისნაირი ფეხბურთელი, რომელიც ასე ძლიერად და ზუსტად ურტყამდეს კარის მიმართულებით.

ეს ნეიმარია

როდესაც იგი ფლანგიდან უტევს, ყოველი მოძრაობა გამოუცნობი და საიდუმლოებებით მოცულია. მას ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშის ხასიათი შეცვალოს და გამარჯვების სასწორის პინა საკუთარი გუნდისაკენ გადასწიოს.

უამრავი ეპითეტით შეიძლება ამ ფეხბურთელის შემოკობა: ის არის ბრწყინვალე დრიბლიორი, მშვენივრად ფარავს მოძრაობის დროს ბურთს, მისი სირბილი დახვეწილი და სრულყოფილია, დიდებულად მოქმედებს კომბინაციებში ჩართული და კომბინაციის შედეგიანი დაგვირგვინებაც ეხერხება. არის სწრაფი, აქვს უნაკლო ტექნიკა,

ტაქტიკურ ასპექტშიც მშვენივრად მოქმედებს და ფიზიკური კონდიციების მხრივაც არაფერი დაენუნება. მას მართალია ტაქტიკურ განლაგებებში თავისი პოზიცია გააჩნია, მაგრამ ნეიმარი ყველანაირ სათამაშო სქემაზე მაღლა დგას. ბრაზილიელი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მოედანზე ნამდვილი ლიდერია. ის გამარჯვებებისთვისაა დაბადებული!



ნეიმარი ესპანელებს უტევს

ისტორიული ჩაქვისი

ჟოან სალდანიას¹ თერთმეტი „მტაცებელი“
*** ნაწყევტი იგოხ ფესუნენკოს ნაშრომთან ***

პერუს ნაკრების საჯარიმო მოედანში დიდი სისწრაფით შეჭრილმა ბრაზილიელთა ნახევარდამცველმა ჟერსონმა მარჯვენა ფეხის კოჭში დაარტყა პერუელ დელა ტორეს, რომელიც ფეხებში ჩაუხტა ბურთის წასართმევად. გასისხლიანებული დამცველი მიწაზე დაეცა, მისი ფიცხი თანამემამულეები კი ჟერსონს მივარდნენ. „ჩვენებს სცემენო!“ – გაისმა შეძახილები და ახლა უკვე ბრაზილიელები გადავიდნენ იერიშზე. სკამებიდან წამოხტნენ მწვრთნელები და მასაჟისტები, მინდორზე გაკარდნენ ფოტოგრაფები, რადიოკომენტატორები და კინოქრონიკის ოპერატორები. რამდენიმე წამიც და „მარაკანა“ გადაიქცა ერთ-ერთი ყველაზე გააფთრებული ხელჩართული ბრძოლის ასპარეზად, რომელიც კი ოდესმე აღუნუსხავთ მსოფლიო ფეხბურთის მემბტიანებს. ეს მოხდა 1969 წლის 9 აპრილს, პერუსა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების „ამხანაგურ“ მატჩში, პირველი ტაიმის 42-ე წუთზე.

ჩხუბი და კამათი 45 წუთის განმავლობაში გაგრძელდა, რის შემდეგ დაჟეჟილ-დაჩეჩვილ ფეხბურთელებს აღმოუჩინეს პირველადი დახმარება და გუნდებმაც განაგრძეს ორთაბრძოლა. მეორე დღეს, როცა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ჟოან სალდანიამ სული მოითქვა და დამშვიდდა, განაცხადა: „აბა რა გეგონათ, სხვას არც მოველოდი ჩემი ბიჭებისაგან: მინდორზე მე 11 ქალიშვილი კი არა, 11 მტაცებელი გამოვიყვანე, რომლებმაც აჩვენეს კიდევ თავიანთი ძალა!“.

თუმცა, ამ ინციდენტის მიუხედავად, პერუსა და ბრაზილიის მატჩებმა სპეციალისტებს წინადა საფეხბურთო ასპექტების ანალიზისთვისაც მისცა უხვი მასალა. შეხვედრებმა, რომლებიც

ბრაზილიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1 და 3:2, და რომლებიც ნაკრების საჭესთან სალდანიას დებიუტს წარმოადგენდა, კიდევ უფრო განამტკიცა ახალი მწვრთნელის ავტორიტეტი.

გაითვალისწინა რა თავისი წინამორბედის ნაკლოვანებები, ჟოან სალდანიამ მწვრთნელად დანიშვნისთანავე ყველას გასაგონად გამოაცხადა გუნდის ძირითადი

მოთამაშე იყო, თუ სათადარიგო. ამასთან, სალდანიამ გამოაცხადა, რომ ყოველ სათადარიგო მოთამაშეს, რასაკვირველია, შეუძლია ბრძოლით მოიპოვოს „ტიტულარის“ პოზიცია. ამ ამბავმა გუნდში ჯანსაღი შეჯიბრების ატმოსფერო შექმნა.

მოკლედ შევეხოთ სალდანიას პირველ რეფორმებსა და სიახლეებს ტაქტიკის დარგში.

პირველ ყოვლისა მან მიზნად დაისახა მოეშალა ოთხი მცველის ხაზი და თავდაცვის ახალი ვარიანტი დაამუშავა. ახლა ბრაზილიელთა დაცვის ხაზზე 3 დამცველი თამაშობს (მარჯვნივ – კარლოს ალბერტო, მარცხნივ – რილდო, ცენტრში – ჯალმა დიასი), ორი კი „მწმენდავის“ როლს ასრულებს: ერთი – დამცველთა სამეულის უკან (ბრიტო ან ჟოელი), მეორე – წინ (უილსონ პი-აზა ან კლოდოალდო). თუმცა, ამ მოთამაშეთა ფუნქციები არც ასე შეზღუდული იყო. სალდანიამ თავის მომავალ მოწინააღმდეგეებს საკმაოდ რთულ შემოქმედებით სიახლეს უმზადებდა: ცენტრალურ მცველსა და ორივე „მწმენდავს“ მატჩის მსვლელობისას პერიოდულად უნდა ეცვალათ ადგილები და ფუნქციები. ამ სიახლის მიზანი ერთი იყო: მოწინააღმდეგე ბრაზილიელთა მწმენდავისაკენ ვეღარ წასწევდა თავის რომელიმე თავდამსხმელს, რითაც მოეპოვოდა „მწმენდავის“ ლიკვიდაციის საშუალება.

ასე რომ, სალდანიას დაცვაში ფაქტიურად ხუთი კაცი ჰყავდა. მაგრამ იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს სქემა არ იყო დოგმა. ახალი მწვრთნელის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ის, რომ თავისი აღზრდილები მობილური თამაშისათვის შეეჩვივა, გუნდს მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა თამაშის



ჟოან სალდანიამ: იქნებ მიუყვარებოდა მაკლია იმისათვის, რომ ობიექტურად ვისაუბრო ფეხბურთზე, რომელიც თავდავინყვამდე მიყვარს. შეფასებაში მე, შესაძლოა, ბევრი შეცდომა დავუშვა. ამით არის მნიშვნელოვანი იგორ ფესუნენკოს ნაშრომი, რომელიც დიდი ინტერესითა და გატაცებით სწავლობს ჩვენს ფეხბურთს, ჩვენს შეცდომებსა და მიღწევებს. ფესუნენკო უფრო დინჯად აკვირდება ყოველივე ამას, ვიდრე ჩვენ და ამიტომ მას შეუძლია დიდი დახმარება გაგვინიოს თავისი ნაშრომით, რომელსაც, ვიმედოვნებ, დამსახურებული წარმატება ექნება.

შემადგენლობა და თერთმეტი სათადარიგო მოთამაშე. ამით მან გაფანტა ეჭვები, ყალბი იმედები, გაუბედაობა. იმ დღიდან ნაკრების ოცდაორივე წევრმა იცოდა თავისი ადგილი გუნდში, იცოდა, ძირითადი

მანერის შესაბამისად ეცვალა ტაქტიკა. „მოთავარია, – აღნიშნა სალდანიამ, – დაცვაში ყოველთვის გვყავდეს ერთი მოთამაშით მეტი. როცა მეტოქე ორი მოთამაშით გვიტყვის, ჩვენ სამნი ვიცავთ თავს, ხოლო როცა

1. ჟოან სალდანიამ. ბრაზილიელი სპორტული ჟურნალისტი და მწვრთნელი.

შეტევას უერთდება მეტოქის მესამე, მეოთხე, მეხუთე თავდამსხმელი, ჩვენ დაცვისკენ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე მოთამაშეს ვწევთ. ასე რომ, ერთი ფეხბურთელი ყოველთვის თავისუფალი უნდა გვყავდეს...”

ნახევარდაცვაში სალდანი ფაქტიურად ორ მოთამაშეს იყენებდა: ერთი მათგანი გახლდათ გუნდის სული და გული, გუნდის ტვინი – უნივერსალური ჟერსონი, რომელიც ერთნაირად კარგად თამაშობს დაცვასა თუ თავდასხმაში. ჟერსონი კონტროლს უწევს მინდვრის ცენტრს, აქვს ზედმინევენით ზუსტი პასი, მინდვრის განსაცვიფრებელი ხედვა (რაშიც მას მხოლოდ პელე თუ გაუწევს მეტოქეობას) და შორი მანძილიდან კარში შესანიშნავი დარტყმა. სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა დარტყმამ მოუტანა ბრაზილიელებს გამარჯვება პერუელებთან პირველმატჩში. ჟერსონმა მაშინ დაახლოებით ორმოცი მეტრის მანძილიდან დაარტყა საჯარიმო, ბურთი გადაეწვლი ცოცხალ კედელს და კარის შორეულ კუთხეში შევარდა.

მეორე ნახევარდამცველი – დირსეუ ლოპესი (რომელსაც ამ პოზიციისათვის წარმატებით უწევს მეტოქეობას რიველინო) – გუნდის „ძრავაა“. მას აქვს რეაქტიული სისწრაფე, ამიტომ, სალდანიას ჩანაფიქრით, იგი მაშინ უნდა შეიჭრას საჯარიმო მოედანში, როცა პელე მონინალმდეგის ორ ცენტრალურ დამცველს გაიყოლიებს მინდვრის სიღრმეში. მაგრამ დირსეუ ჯერჯერობით მთლიანად ვერ ართმევს თავს ამ ამოცანას „ფეხების უქონლობის“ გამო, როგორც ბრაზილიელები ამბობენ. თუმცა გადაღლა „მტაცებელთა“ უმრავლესობას, მათ შორის პელეს, საშინელი უბედურებაა.

სამ თავდამსხმელთაგან სალდანიას არჩევანის სისწორეში ეჭვს იწვევდა მხოლოდ ტოსტაო, რომელიც თავის კლუბში („კრუზეირო“) ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობს, ნაკრებში კი მარცხენა ფრთაზე დააყენეს. თუმცა, სალდანიას მიერ შეტევის მარჯვენა ფრთაზე დაყენებულმა ჟაირზინომ გააოცა გულშემატკივრები და პრესა პერუსა და ინგლისის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ გამართულმატჩებში თავისი ბრწყინვალე გამოსვლებით. აღლევებულ ტორსიდას მან გარინჩა გაახსენა თავის საუკეთესო წლებში: ჟაირზინო თავისუფლად უვლიდა გვერდს მასზე მიმაგრებულ ორ დამცველს, იჭრებოდა მონინალმდე-



გის საჯარიმო მოედანში და ყოველ წუთს ქმნიდა მეტად სახიფათო მდგომარეობებს, ავლენდა პელესთან შესანიშნავ ურთიერთგაგებას. მაგრამ თვით პელე?

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიისმატჩის 35-ე წუთზე ტოსტაოს ყუმბარისებური დარტყმის შემდეგ მეკარე მაიერის მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო ედუმი და გერმანელთა კარში მეორე გოლი გაიტანა. მაგრამ ამ გოლის „მთავარი კონსტრუქტორი“ გახლდათ არა ედუმი ან ტოსტაო, არამედ პელე. იმ მომენტში, როცა ტოსტაო მინდვრის სიღრმეში მონინალმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ გაქანდა, პელე, რომელიც კარიდან 18 მეტრის დაშორებით იდგა გადაცემის მოლოდინში, მოულოდნელად უბურთოდ მოწყდა ადგილს და თან ბეკენბაუერი და შულცი გაიყოლა. გათავისუფლდა „დერფანინი“, და აი ტოსტაოს სწორედ ამ „ღია დერფანში“ შეიჭრა.

მეორე ტაიმის მე-14 წუთზე მეკარე მაიერთან პირისპირ გასული პელე უხეშად მოცვლა შულცმა. მსაჯმა ყოლტმა რატომღაც არ დანიშნა პენალტი. რამდენიმე წუთის შემდეგ პელემ მოხდენილი ფინტით გვერდი აუარა შულცს, ფეხებში გაუძვირინა ბურთი ბეკენბაუერს და კარის დაბალ კუთხეში დაარტყა.

მაიერმა რაღაც სასწაული შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება... ამ სასწაულებრივი თამაშით პელე, თითქოს, პასუხს სცემდა კითხვას, რომელსაც, თუმცა ეს მკრეხელობადაც გვეჩვენება, ახლახან სერიოზულად განიხილავდნენ ბრაზილიის პრესის ფურცლებზე: ნაკრებში არის თუ არა პელესთვის ადგილი?

კი მაგრამ, რა მოხდა?

განა პელემ უკვლო თამაშს?

პირიქით, ამჟამად იგი თავისი ოსტატობის ზენიტში იმყოფება და უკეთესად თამაშობს, ვიდრე იმ წლებში, როცა მსოფლიოს პირველ ფეხბურთელად აღიარეს... სწორედ ამაშია მისი უბედურება და ბრაზილიის ნაკრების ჰამლეტისეული პრობლემა („ყოფნა-არყოფნა?“) : დღეს პელე არის მსოფლიოს არა მარტო ყველაზე საუკეთესო, არამედ დამცველების მიერ ყველაზე „შევიწროებული“ ფეხბურთელი.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მას (როგორც ეს დანიასთან გამართულ ერთ-ერთმატჩში მოხდა) ზედიზედ შეეძლო მოეტყუებინა მონინალმდეგის ყველა მოთამაშე და გაეტანა გოლი, რაც მაყურებელს ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა. დღეს კი საკმარისია პელე ერთ ან ორ დამცველს გაექცეს, რომ მესამე უკნიდან ფეხებში ურტყამს, მეოთხე ბურთში ჰკრავს ხელს, მეხუთე მოგვერდით უმასპინძლდება. ვერავინ წარმოიდგენს, ფეხებზე რამდენ ნაჭდევსა და ნაიარევს უტოვებენ პელეს ყველა ჯურის დამცველები, რათა როგორმე შეასრულონ მწვრთნელთა ისტერიული მონაცდებები: „შეაჩერეთ პელე! რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, შეაჩერეთ!“

მეორე მხრივ, სათადარიგო სკამზე მოხვედრის შიშით, ბრაზილიის ნაკრების მოიერიშე ხაზის ყველა კანდიდატი, უპირველეს ყოვლისა,



ცდილობს, „შეეთვისოს“ პელეს, შეეგუოს მის თამაშს. მაგრამ რაიმე მიზეზის გამო (ტრავმა,ავადმყოფობა) პელემ რომ ვერ შეძლოს თამაში? ან ორმა-სამმა დამცველმა საიმიედოდ რომ „ჩაკეტოს“ იგი, როგორც ეს ლივერპულში მოხდა წარსულ მსოფლიო ჩემპიონატზე? ხომ არ დაიბნევიან მოთამაშეები თავისი ლიდერის გარეშე?

საღიანიამ მიაბმო, რომ განზრახული აქვს პელეს ორგვარად გამოყენება. პირველ რიგში, მონინალმდეგის საჯარიმო მოედნისკენ წაწეული აგრესიული ცენტრალური თავდამსხმელის როლში, თავდამსხმელისა, რომელიც შებორკავს ორ-სამ დამცველს და გააადვილებს გარემარბთა გარღვევებს, აგრეთვე დირსეუ ლოპესისა და რიველინოს ტიპის აგრესიული ნახევარმცველების გამოყენებას.

როცა ეს ტაქტიკა არ მისცემდა სასურველ შედეგს, საღიანიას

დაგეგმილი ჰქონდა პელეს უკან დაწევა იმ იმედით, რომ მას შესაძლებლობა მისცემოდა თავისი გასაოცარი დარტყმებით შორიდან დაებომბა მონინალმდეგის კარი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო მოედნიდან პელეს მონინალმდეგის დაცვა გამოჰყვებოდა, კარის წინ განთავისუფლებოდა ზონა, რაც ბრაზილიელ თავდამსხმელებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას მისცემდა. „ასეა თუ ისე, – აღნიშნავდა საღიანი, – პელე ყოველთვის წერვებს უშლის მონინალმდეგს, მუდამ „გამოთიშული“ ჰყავს ორი, ზოგჯერ სამი დამცველი. ეს კი, რასაკვირველია, ხელ-ფეხს უხსნის ჟაიროზინოს, ტოსტაოსა და სხვებს... პელე გენიოსია, ამიტომ არ მინდა ზემოთ დასახელებული ორი ფუნქციით შემოვფარგლო იგი. მას ყოველთვის ექნება იმპროვიზაციის, გამარჯვებისათვის ახალი გადაწყვეტილებებისა და გზების გამოხაზვის საშუალება...“

ჩემს კითხვაზე, თუ, მისი აზრით, რა წარმოადგენს ამჟამად გუნდის მთავარ ნაკლს, საღიანიამ მიპასუხა: „მოთამაშეთა გადაღლა. მაგრამ რომ მქონდეს თუნდაც სამი თვის ვადა, ამ მოთამაშეებისაგან ისეთ მანქანას შევქმნი, რომელიც შეძლებს ბრაზილიაში ჟიულ რიმეს თასის დაბრუნებას...“

საერთოდ კი, ბრაზილიელები კმაყოფილნი იყვნენ მომავალი მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშებისათვის მზადების მსვლელობით, კმაყოფილნი იყვნენ მოთამაშეებით, მწვრთნელით და, ასე განსაჯეთ, ჩხუბითაც კი: „ჩვენ სამჯერ დავამარცხეთ პერუ, – წერდა ერთ-ერთი გაზეთი, – ორჯერ – ფეხბურთის მინდორზე, ერთხელ კი – რინგზე... ეს ეპიზოდი ხაზს უსვამს ჩვენს საბრძოლო სულსა და მექსიკის მომავალ ჩემპიონატში ნებისმიერი პროვოკაციებისადმი მზადყოფნას.“

სასიკვდილო ავტობოლი



იყო, რომ საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ საფრთხე არაა ჩააგდო და იმის მიუხედავად ხალხის თავშეყრის ადგილებში ყოფნისაგან გარკვეული ხნის განმავლობაში თავი შეეკავებინა, ღამის კლუბს ეწვია. მისი თანაგუნდელი ფაუსტინო ასპრილია შემდგომში იხსენებდა, როგორ ისხდნენ ერთად თვითმფრინავში, როცა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდნენ:

ჩვენ ლუდს ვსვამდით და ანდრესი მთელი გზა რჩევებს მაძლევდა:

– ვიცი, შენ ღამის კლუბები გიყვარს, მაგრამ გარეთ გასვლას

მოერიდე. გახსოვდეს, რომ ხალხს სისხლი უდუღს, სახლში იჯექი.

– არაა პრობლემა.

– უნდა შემპირდე, მითხრა მან.

დილის ხუთ საათზე გამაღვიძეს და მითხრეს, რომ ანდრესი მოკლეს. ეს შეუძლებელია, ვიყვირე მე. მან მე რჩევები მომცა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, თვითონ კი გარეთ გავიდა... ეს საშინელება იყო.

ანდრეს ესკობარის კოლუმბიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. ის ადამიანური ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მას პატივისცემდნენ როგორც ჯენტლმენური ქცევის პიროვნებას.

1994 წლის 22 ივნისს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის A-ჯგუფის მატჩში, ერთმანეთს კოლუმბიისა და მასპინძელი აშშ-ს ნაკრებები შეხვდნენ. 34-წუთზე კოლუმბიელმა მცველმა ანდრეს ესკობარმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ავტოგოლის გამო კოლუმბიის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა და ჩემპიონატიდან გამოვარდა.

ამ თამაშიდან ათი დღის შემდეგ ესკობარი ქალაქ მედელინი ღამის კლუბის წინ მოკლეს. მისი მკვლეელი უმბერტო მუნოი ერთ-ერთ საბუქ-მეიკერო სინდიკატში მუშაობდა მცველად. მკვლელმა თორმეტი ტყვია დაახალა ესკობარს. ამ შემთხვევის შემდეგ კოლუმბიას „გიჟების ქვეყანა“ დაარქვეს.

ესკობარი გაფრთხილებული



ესკობარის საბედისწერო ავტოგოლი

განი

მიუნხენური ჟეგუნდა

საჭიროდ მივიჩნით იმ გუნდის ისტორიის წილსვლბში შევჭრილიყავით, რომელმაც გასულ 2013 წელს: გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერ თასი და კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ეს გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანია. ჩვენ არც მეტი, არც ნაკლები, მიუნხენის „ბაიერნის“ შესახებ ვსაუბრობთ.



მიუნხენის „ბაიერნის“ ისტორია 1900 წლიდან იღებს სათავეს და მისი დაარსება უკავშირდება ფეხბურთის ფუნქციონერ ფრანც ჯონის სახელს. ის „ბაიერნის“ პირველი პრეზიდენტი იყო. მიუნხენელთა აღმასვლა დაიწყო 1907 წელს – ფეხბურთელები ახალ ბაზაზე „ლეოპოლდშტრასეზე“ გადავიდნენ და უკვე 1910 წელს აღმოსავლეთის მიწების თასი მოიგეს. მომდევნო წელს „ბაიერნმა“ ტიტული ისე შეინარჩუნა, რომ არც ერთი შეხვედრა არ წააგო. მოგვიანებით გუნდში გამოჩნდა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი – მაქს გაბლონსკი. ამ მოვლენის შემდეგ საქმე კიდევ უფრო უკეთესად წავიდა. 1920 წლისათვის მიუნხენურ კლუბში განვივრიაწებული იყო შვიდასზე მეტი პირი და ცოტა ხანში გუნდი ძალზე გაძლიერდა.

1926 წელს „ბაიერნმა“ სამხრეთის მიწების ჩემპიონატი მოიგო, ხოლო 1932 წელს გერმანიის ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა. მიუნხენელმა ფეხბურთელებმა ფრანკ-ფურტის „აინტრახტს“ ანგარიშით 2:0 მოუგეს. გოლების ავტორებად რორი და კრუმი მოგვევლინნენ. იმ დროინდელი გუნდის ლიდერები ჰაიდკამფი და ბრაინდლი იყვნენ, ხოლო მწვრთნელად, მასაჟისტად, მენეჯერად და ხელმძღვანელად რიჩარდ დომბი მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომმა ძალზე დიდი გავლენა მოახდინა სპორტზე და ფეხბურთის განვითარე-

ბაც საგრძნობლად დაამუხრუჭა. ომის შემდეგ, გერმანულ ფეხბურთს დრო დასჭირდა, რათა დაკარგული პოზიციები დაებრუნებინა.

1957 წელს „ბაიერნმა“ გერმანიის თასი მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ მიუნხენელებმა პოზიციები დათმეს და წარმატებებს ვეღარ აღწევდნენ. კლუბის ოქროს ხანა დაიწყო გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის ფრანც ბეკენბაუერი-სა და მისი თანაგუნდელების მოსვლის შემდეგ.

ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი და მეკარე ზუპ მაიერი უმაღლესი დონის ოსტატობის დემონსტრირებას ახდენდნენ მოედანზე. ამ ფეხბურთელებმა „ბაიერნს“ დიდი წარმატებები მოუტანეს. 1965-66 წლების სეზონში გუნდი მესამე ადგილზე გავიდა, ბეკენბაუერი და ზუპ მაიერი კი ნაკრებში გამოიძახეს, წინ მსოფლიოს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იყო.

1967 წელს „ბაიერნი“ ევროპულ მწვერვალზესაც შესწავდა. გუნდმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო. ფრანც როტის მიერ გატანილი გოლით გერმანელებმა „სელტიკს“ სძლიეს და გუნდს ევროპული ჯილდო მოაგებინეს.

1968 წელი გარდამტეხი გამოდგა. ბრანკო ზებეკმა, რომელმაც მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე ცარკოვსკი შეცვალა, გადადგა ისეთი პრინციპული ნაბიჯი, როგორც იყო ლუდის მოხმარების საერთოდ აკრძალვა. თუმცა „ბაიერნის“ ფანები კმაყოფილნი იყვნენ, რადგან გუნდმა დუბლი შეასრულა!

გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოპოვებული იქნა რვა ქულიანი ჰანდიკაპით, ხოლო თასის ფინალში „ბაიერნმა“ „შალკე-04“ დაამარცხა. მაგრამ ამავე დროს გამოჩნდა გუნდი, რომელმაც დიდი პრობლემები შეუქმნა „ბაიერნს“. ეს გუნდი მიონხენგლადბახის „ბორუსია“ იყო. „ბორუსიამ“ 1970 და 1971 წლებში ორჯერ მოიგო გერმანიის ჩემპიონობა.

1972 წელს მიუნხენელებმა უდო ლატეკის ხელმძღვანელობით ისევ დაიბრუნეს ტიტული. გუნდის კიდევ ერთი სიხარულის მიზეზი გერდ მიულერი იყო. ის ორმოცი გატანილი გოლით საუკეთესო თავდამსხმელი გახდა.

1974 წელს „ბაიერნმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო. ბრიუსელში გამართულ მატჩში შვარცენბეკმა მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო დამატებით შეხვედრაში გუნდმა მოიგო ანგარიშით 4:0. ორ-ორი გოლი გაიტანეს ული ჰიონესმა და გერდ მიულერმა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს“ 1980 წლამდე ბუნდესლიგაში ჩემპიონობის მხრივ პაუზა გამოუვიდა, საერთაშორისო არენაზე მათ სამჯერ მოიპოვეს ტიტული. 1975 წელს მოიგეს ევროპის ჩემპიონთა თასი (2:0 ლიდსის წინააღმდეგ), 1976 წელს კი გაიმეორეს მიღწევა და გლაზგოში „სენტ-ეტიენი“ დაამარცხეს ანგარიშით 1:0. „ბაიერნმა“ იმავე წელს მოიგო საკონტინენტთაშორისო თასიც, დაამარცხა რა „კრუსეირო“ ორ მატჩიან შეხვედრაში. იმ პერიოდში გუნდის მწვრთნელი დიტმარ კრემერი იყო.





1978-83 წლებში „ბაიერნს“ წვრთნიდა პოლ ჩერნაი. მის დროს კლუბი ორჯერ, 1980–81 წლებში გახდა გერმანიის ჩემპიონი.

1987 წელს „ბაიერნის“ მწვრთნელი გახდა იუპ ჰაინკენსი. 1989-90 წლებში მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ორჯერ მოიპოვა გერმანიის ჩემპიონობა. ჰაინკენსმა გუნდი 1991-92 წლების სეზონში დატოვა, მისი ადგილი კი სორენ ლერბიმ დაიკავა. თუმცა გუნდი ვეღარ პროგრესირებდა. მიუხედავად ამისა, მისი ხელმძღვანელობით ბუნდესლიგის საშინაო რიგებში ჩაიბარა გუნდი ერიხ რიბეკმა. კარლ-ჰაინც რუმენიგემ და ფრანც ბეკენბაუერმა კი ვიცე-პრეზიდენტების პოსტები დაიკავეს. 1993-94 წლების სეზონში ბეკენბაუერმა მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ერიხ რიბეკი და „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა.

ამის შემდეგ დადგა ჯოვანი ტრაპატონის ეპოქა. მართალია, მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ფეხბურთელებთან და ხელმძღვანელობასთან, მაგრამ მისუხედავად ამისა, მან ვერ შეძლო სასურველი წარმატებების მიღწევა. გუნდმა 1994-95 წლების სეზონში გერმანიის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ამსტერდამის „აიაქსთან“ წააგო ორრაუნდიანი დაპირისპირება. ამის გამო გუნდში ტრაპატონის ნაცვლად მოვიდა ოტო რეჰაგელი, მაგრამ მალე ოტოც იძულებული გახდა დაეტოვებინა მწვრთნელის პოსტი დროზე ადრე, მიუხედავად იმისა, რომ მან ნახევარ სეზონში მოახერხა გუნდის უფასო თასის ფინალში გაყვანა, სადაც მეტოქედ „ბარსელონა“ ელოდათ. „ოლიმპიაშტადიონზე“ ნათამაშები ფრის 2:2-ის შემდეგ, თითქოს გამარჯვების სასწორი კატ-

სირება – 2:1. ფინალის დღეებში, ფრანც ბეკენბაუერი ითავსებდა გუნდის მწვრთნელობას და ხელმძღვანელობასაც. მან მოახერხა ის, რომ „ბაიერნმა“ პირველად თავის ისტორიაში მოიპოვა უფასო თასი. თუმცა საერთო სურათი დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონობამ გააფუჭა. შემდგომ ტრაპატონი ისევ დაუბრუნდა გუნდს და ორი წლის განმავლობაში „ბაიერნს“ გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა..

ოტმარ ჰიტცფელდმა იტალიელი სპეციალისტი 1998 წელს შეცვალა. პირველივე წელს მან თითქმის მიაღწია გუნდის საუკეთესო შედეგს არსებობის ისტორიაში. მაგრამ გერმანიის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალებში მარცხი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა გუნდისთვის. უკვე ორი წლის შემდეგ ჰიტცფელდმა და „ბაიერნმა“ დაამტკიცეს, რომ 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხება მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობა იყო. ჰიტცფელდის ხელმძღვანელობით „ბაიერნმა“ (1998-2004 წლებში) გერმანიის ჩემპიონობა ოთხჯერ, გერმანიის თასი ორჯერ და გერმანიის ლიგის თასი მოიპოვა, ასევე გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებასა და საკონტინენტთაშორისო თასზე. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა „ბაიერნის“ მწვრთნელებს შორის. ამ პერიოდში გუნდის ლიდერები იყვნენ ოლივერ კანი, შტეფან ეფენბერგი და ჯოვანი ელბერი.

2004 წელს კლუბში მწვრთნელად მოვიდა ფლიქს მაგათი. მისი ხელმძღვანელობით კლუბი ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ორჯერ დაეუფლა გერმანიის თასს, მაგრამ 2007 წლის იანვარში წარუმატებლობების გამო იგი გაათავისუ-

ფლეს და მის ადგილას დააბრუნეს ოტმარ ჰიტცფელდი.

2007 წლის ზაფხულში „ბაიერნმა“ გაატარა სერიოზული სატრანსფერო პოლიტიკა, რის შედეგადაც შეიძინა იტალიის ნაკრების საუკეთესო ფორვარდი ლუკა ტონი, გერმანიის ნაკრების საუკეთესო ფორვარდი მიროსლავ კლოზე, საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ფრენკ რიბერი და კიდევ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი. 2007 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მოთამაშეების შესაძენად „ბაიერნმა“ საკმაოდ დიდი თანხა გაიღო. 2007-2008 წლების სეზონში კლუბი გახდა გერმანიის ჩემპიონი, დაეუფლა გერმანიის თასს და გერმანიის ლიგის თასს.

2008 წლის 1 ივლისიდან ოტმარ ჰიტცფელდი მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა იურგენ კლინსმანმა. 2009 წლის 27 აპრილს კლინსმანი იუპ ჰაინკენსმა ჩაანაცვლა, რომელიც წარუმატებელი მუშაობის გამო მალევე გაათავისუფლეს და მის მაგივრად ჰოლანდიელი სპეციალისტი, ლუის ვან გაალი დანიშნეს. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა შემტევი გუნდის ჩამოყალიბება მოახერხა, პირველივე სეზონში კლუბს მოაგებინა: აუდის თასი, გახადა გერმანიის ჩემპიონი, გერმანიის თასის მფლობელი და ასევე ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის თასთან, მაგრამ ფინალში დამარცხდა „ინტერთან“ ანგარშით 0:2

ვან გაალის შემდეგ კვლავ ჰაინკენსი დაბრუნდა, რომელმაც მოღვაწეობის მეორე წელს კლუბი კვლავ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. ფინალი მიუნხენში ტარდებოდა და გერმანელები უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდნენ. მაგრამ ფინალური დაპირისპირება ლონდონის „ჩელსის“ სასარგებლოდ დასრულდა. იმ წელს მიუნხენური გიგანტი უტიტულოდ დარჩა, ამიტომ ხელმძღვანელებმა ჰაინკენსის შემცვლელს დაუწყეს ძებნა და მიაგნეს კიდევ — ეს იყო ხოსეპ გვარდიოლა. მაგრამ ჰაინკენსს თითქმის მთელი სეზონი წინ ჰქონდა, მან გერმანული ფეხბურთის ისტორიაში პირველად შეასრულა „ჰეთ-თრიკი“: მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ბუნდესლიგა და გერმანიის თასი — დაამყარა და გააუმჯობესა მრავალი რეკორდი (გასვლით შეხვედრებში მოიგო ყველა მატჩი, ბუნდესლიგაში გუნდმა გაიტანა 98 გოლი და ა.შ..)

მიუხედავად ამ ფანტასტიური შედეგისა, ჰაინკენსს მაინც მოუწია კლუბიდან წასვლა გვარდიოლასთან წინასწარ გაფორმებული კონტრაქტის გამო.

ბახსუნაბა

ვიტალი ღარასელია

ქართული ფეხბურთის მემბტიანე დიმიტრი ლოლაძე იხსენებს ქართველ ლეგენდარულ ფეხბურთელს ვიტალი ღარასელიას. გათავაზობთ ნაწყვეტს.

1981 წლის 13 მაისი!
დიუსელდორფის „რაინშტადიონი“.

ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი!

ქართული ფეხბურთი უმაღლეს მწვერვალს იპყრობს და ამ „ექსპედიციის“ ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა 23 წლის ვიტალი ღარასელია – გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, რომლის მიერ გატანილმა სოლო ბურთმა სასურველი და ნანატრი გამარჯვება მოუტანა თბილისის „დინამოს“.

შეუპოვარი, დრამატიზმით აღსავსე მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ვიტალი ღარასელიამ სასწაული მოახდინა. ულამაზესი და, რაც მთავარია, ურთულესი „სლალომით“ ჩამოიტოვა რამდენიმე მონინაალმდეგე და მარცხენა ფეხით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „კარლ ცაისის“ კარში.

პოპულარულ ინგლისელ ფეხბურთელებს ბ.მურს, ბ.ჩარლტონს, კ.კიგანს და ტ.ბრუკინგს ტელესტუდიაში უნახავთ დიუსელდორფის მატჩის ვიდეოჩანაწერი. მატჩის შემდეგ კიგანს უთქვამს, ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ამგვარი ბურთის

გატანაზე ნებისმიერი დიდი ფეხბურთელი იოცნებებდაო.

ფრანს პრესის სააგენტო წერდა: „აღფრთოვანებას იწვევს ღარასელიას მიერ გატანილი გოლი, ბურთის დამუშავებისას მან ბრწყინვალე ტექნიკა გამოავლინა“.

ვიტალი ღარასელია დაიბადა ოჩამჩირეში 1957 წლის 9 ოქტომბერს. სწორედ აქ დაიწყო თამაში ადგილობრივ ბავშვთა გუნდში, შემდეგ საქართველოს პირველობაზე წარმატებით იცავდა ოჩამჩირის „ამირანის“ ლირსებას. ვიტალი ღარასელია ასე იგონებდა თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტს: „1974 წლის საფეხბურთო სეზონის ბოლოს ჩატარდა მატჩი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩის მიზანი იყო „დინამოსათვის“ შეერჩიათ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მიხეილ იაკუშინმა რამდენიმე მოთამაშეს „დაადგა თვალი“, მათ შორის მეც ვიყავი. ასე დაიწყო ჩემი თბილისური „ოდისეა“.

1975 წლიდან იგი საკავშირო ჩემპიონატში გამოდის ძირითად შემადგენლობაში. პირველივე თამაშებმა ცხადყო, რომ გუნდში მოვიდა დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი ფეხბურ-



თელი. მან ლირსეულად დაიმკვიდრა ადგილი თბილისის „დინამოში“. სულ მალე ვიტალი ღარასელია გახდა ჯერ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი.

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში როტერდამის „ფეიენოორდთან“ თამაშის წინ მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან საუბარში დავით ყიფიანმა თქვა: ვიტალი ღარასელია მრავალმხრივი ფეხბურთელია, აქვს ტექნიკური დარტყმები, კარგად გადის ცრუ მოძრაობით და მშვენივრად ერკვევა მოედანზე შექმნილ სიტუაციებში. როდესაც ვიტალი არ თამაშობს, მაშინ უფრო ვგრძნობთ ხოლმე, რა დიდ სამუშაოს ასრულებს იგი მოედანზე.

საოცრად შრომისმოყვარე, დაჯილდოებული უშრეტი ენერგიით, უმაღლესი დახვეწილი ტექნიკით, უტყუარი ტაქტიკური აზროვნებით, ბრძოლის უსაზღვრო ჟინით. ასეთი იყო ვიტალი ღარასელია.

მის მომავალ, დიდ სპორტულ მიღწევებში ეჭვი არავის ეპარებოდა... მაგრამ ბრმა შემთხვევამ შეინიწრა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე სპორტსმენი, რომელსაც კვლავ ბევრის გაკეთება შეეძლო. დიდების მწვერვალზე მყოფი წავიდა ჩვენგან სიცოცხლის მოტრფიალე ახალგაზრდა, იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქართულ ფეხბურთს.



მსოფლიოს მსოფლიო ფაქტები

დიეგო მარადონა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ქართველი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე.

მარადონამ მსოფლიოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი მოიგო. მაშინ ის არგენტინის ნაკრების კაპიტანი იყო. ფინალში მისმა გუნდმა ლოთარ მათეუსის გერმანიის ნაკრები დაამარცხა.



ალექსანდრე ჩივაძე და ლოთარ მათეუსი.

მათეუსმა მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი მოიგო. ის მაშინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების კაპიტანი იყო. მისმა გუნდმა ფინალში მარადონას არგენტინის ნაკრებს სძლია.



ას იყო, იყო!..

პაოლო როსი



საფანჯრითი ბიზნისი

მატადონა ტყე

წარმოგიდგინებ გურამ ფანჯიკიძის წიგნიდან „მარადონა რეი“ ამონარიდს. სათაურიდანაც ჩანს, რომ გურამ ფანჯიკიძის ამ წარკვევში მთავარი როლის შემსრულებელი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონაა. აღნიშნული წიგნი მექსიკაში გამართული მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის უშუალო შთაბეჭდილებებითაა დაწერილი.

როგორც იქნა, გათენდა 29 ივნისიც. 9 საათზე უკვე სტადიონისაკენ გავემგზავრეთ. საათნახევარი მოვუნდით „ატტეკას“ მისადგომებთან მისვლას. შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებული, საგულდაგულო ჩხრეკა და ბოლოს, როგორც იქნა, მივალწიეთ პრესლოუსს. ჩვენს წინ, სხვა მატჩებთან შედარებით კიდევ უფრო დიდებული სანახაობა გადაიშალა. სტადიონის ტრიბუნები კვლავ ახალი ნახატებით და ფიგურებით იყო მოხატული და მორთული. ვერცერთი გაცეცხას ვერ ვმალავდით, მატჩიდან მატჩამდე რამდენიმე დღიან შუალედში როგორ ასწრებდნენ ამოდენა სტადიონის ტრიბუნების ხელახლა მოხატვას.

ბოლოს დადგა ის ნანატრი წუთიც, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ დგება ხოლმე. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა.

მაინც მოგახსენებთ გუნდების შემადგენლობას.

არგენტინა: პუმპიდო, კუსიუფო, ბრაუნე, რუჯერი, ოლარტიკოეჩეა, ჯუსტი, ბატისტა, ენრიკე, მარადონა, ბურუჩაგა (ტრობიანი, 89), ვალდანო.

გერმანია: შუმახერი, ბერთოლდი, იაკობსი, ფიორსტერი, ბრიგელი, მათეუსი, ბრემე, მაგათი (ჰიონესი, 62), ედერი, რუმენიგე, ალოფსი (ფიოლერი, 46).

მსაჯი: რომუალდო არპი ფილიო (ბრაზილია).

თავიდანვე ნათელი გახდა, არგენტინელები იმავე ტაქტიკით თა-

მაშობდნენ, ინგლისელებისა და ბელგიელების წინააღმდეგ რომ ითამაშეს. კერძოდ, რუჯერი და კუსიოფო მჭიდროდ ეთამაშებიან თავდამსხმელებს, ბრაუნმა კი ისევ თავისუფა-



ლი მცველის („მწმენდავის“) ადგილი დაიჭირა. დანარჩენებისათვის არგენტინელთა მწვრთნელს ბილარდოს კონკრეტული დავალება არ მიუცია. ფეხბურთელებს მოედანზე თვითონ უნდა შეეფასებინათ სიტუაციები და ისე უნდა ემოქმედათ, როგორც გუნდის ინტერესები მოითხოვდა.

მაგრამ „ისე უნდა ემოქმედათ“ არ ნიშნავს, რომ გარკვეული სიტუაციებისათვის მწვრთნელს არ ჰქონდა დამუშავებული სხვადასხვა ტაქტიკური სქემები. მაგალითად, არგენტინელებს საგანგებოთ ჰქონდათ დამუშავებული სქემა, თუ რა

უნდა მოემოქმედებინათ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში. თავდამსხმელები, მათ შორის მარადონაც და ვალდანოც, უმაღლეს იხვედნენ უკან თავისუფალი პოზიციების გადასაკეთად. მარადონას და მის თანამებრძოლებს შეეძლოთ ეწარმოებინათ სწრაფი, ელვისებური კონტრშეტევები, მაგრამ თუ გადაცემას გაგრძელება არ ჰქონდა და უპერსპექტივო იყო, ისიც შესანიშნავად შეეძლოთ, ბურთი დიდხანს ეგორებინათ, სანამ მწვავე გაგრძელებას არ მონახავდნენ.

ბეკენბაურმა მარადონას წინააღმდეგ მართლაც მათეუსს დაავალა ბრძოლა. მათეუსი, სხვათა შორის, კარგი დისპეტჩერიცაა, მაგრამ სრულიად ობიექტური მიზეზების გამო იგი დისპეტჩერობისათვის ვეღარ მოიცლიდა. ამიტომაც გამთამაშებლის, დირიჟორის ფუნქციები გამოცდილ ვეტერანს ფელიქს მაგათის დაეკისრა.

მათეუსმა ერთი შეხედვით თითქოს შეასრულა დავალება. თუმცა იგი მარადონას შესაჩერებლად უხეშობასაც არ თაკილობდა, მაგრამ ძვირად დაუჯდათ გერმანელებს მარადონას დაჭერა.

არგენტინელთა კაპიტანმა უკან დაიხია. მას თან მიჰყვა მათეუსი და რიგრიგობით რამდენიმე მოთა-

მაშე: გერმანელები მარადონას მაინც ვერ ტოვებდნენ მხოლოდ მათეუსის ანაბარად. მარადონას უკან დახევამ და მისი ოპონენტების ცენტრში შეტყუებამ ფლანგებზე ხელფები გაუხსნა ვალდანოსა და ბურუჩაგას. მათ მიერ გატანილი გოლები ლოგიკური შედეგი იყო არგენტინელთა სწორი სტრატეგიისა.

პირველი გოლი გერმანელთა კარში არგენტინელთა მცველმა ბრაუნმა გაიტანა. გაზეთები წერდნენ, შუმახერმა შეცდომა დაუშვა, წინ დაუფიქრებლად გამოვიდა და ბურთს



იმიტომ ვერ მისწვდაო.
არ არის მართალი.

ბურთი იმდენად ოსტატურად იყო ჩაკიდებული საჯარიმო მოედანზე და მან მოკლე მანძილზე ტრაექტორიის ისეთი მაღალი მრუდი მოხაზა, რომ გატანილი ბურთი სწორედ ვირტუოზულად ჩანოდებული პასის შედეგი იყო და არა შუმახერის შეცდომისა. პრესცენტრში, ვიდეოზე ბევრჯერ დავატრიალეთ ეს ეპიზოდი. ჩანოდების ადგილიდან ბრაუნის თავამდე თუმცა საკმაოდ მანძილი იყო, მაინც წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა ამ მონაკვეთზე ბურთის ასეთი მკვეთრი მრუდით ჩაკიდება.

მეორე ტაიმის 56-ე წუთზე მარადონამ სამსვლიანი კომბინაცია წამოიწყო და ვალდანომ მართლაც დიდოსტატური გოლი გაიტანა კარის მარცხენა კუთხეში.

62-ე წუთზე ბეკენბაუერმა მაგათი შეცვალა. მიხვდა, ვეიტრანმა ვერ გაართვა თავი დირიჟორის ფუნქციებს. მის ნაცვლად მოედანზე ჰიონესი გამოუშვა. მათეუსმა მარადონას მეურვეობა ფიორსტერს გადააბარა და მაგათის სადისპეტჩერო ფუნქციები თვითონ იკისრა.

ასე იყო თუ ისე, გერმანელების შეტევები უფრო მწვავე და ხშირი გახდა.

ვფიქრობ, არგენტინელებმა ნაადრევად ჩათვალეს თამაში მოგებულად და იერიშები საგრძნობლად შეანელეს. სხვათა შორის, ანალოგიური შეცდომა მოუვიდათ ინგლისელებთან და დაისაჯნენ კიდევ. გარი ლინეკერმა გაქვითა ერთი ბურთი, რითაც ჩემპიონატის ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა.

და აი, ბრემეს მიერ ჩამონოდებული ორი კუთხური. ჯერ რუმენიგემ გაიტანა თავით (74-ე წუთზე), შემდეგ ფილერმა (83-ე წუთზე).

მარადონამ უმაღლეს დაცხრო მათი ვნებები. მოულოდნელად ბურუნაგას ისეთი პასი მიანოდა, 130 ათას კაცს ალტაცების შეძახილი აღმოხდა.

ბურუნაგა გერმანელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და ბურთი შუმახერისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ვალდანოსა და ბურუნაგას ბურთები ტყუპებით ჰგავდნენ ერთმანეთს, ოღონდ ისეთი ტყუპებით, ერთი რომ დედას ჰგავს და მეორე მამას. ორთავემ გარედან შემოუტარა ოსტატურად დარტყმული მოჭრილი ბურთი შუმახერს, ორთავემ შორეულ (ერთმა მარჯვენა, მეორემ მარცხენა) კუთხეში გაახვია იგი.

ბოლო წუთებში იყო კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი, როცა მარადონა შეიჭრა გერმანელთა საჯარიმო მოედანზე. იგი შუმახერმა და ერთ-ერთმა მცველმა მოცვლეს. მსაჯმა კი პენალტი არ დანიშნა, რადგან თურმე ადრე აღუნიშნავს მარადონას წინააღმდეგ უხეში თამაში. სხვათა შორის, გერმანელების მიერ არგენტინელთა კარში გატანილ

ბურთებზე არაფერი დაწერილა. მე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გერმანელები გოლებს გაიტანდნენ, არგენტინელთა ცენტრალურ მცველს ბრაუნს ლავინის ძვალი გაუტყვეს. პირველი სამედიცინო დახმარების შემდეგ მან სთხოვა ბილარდოს დაუყოვნებლივ გაეყვანათ მინდვრიდან. ბილარდომ არ შეცვალა თავისი ცენტრალური მცველი, თუმცა აშკარა იყო, რომ ბრაუნს თამაში აღარ შეეძგა უჩნდა ათ თამაშის ბისა, მაგრამ

ბილარდო გაჯიუტდა და დაშავებული ბრაუნი მაინც არ გამოცვალა. ჩემის აზრით, ეს აშკარა შეცდომა იყო. ბრაუნი თვითონ ხომ ვეღარ თამაშობდა, თანაგუნდელებსაც აბნევდა, ორიენტაციას აკარგვინებდა. პოზიციას ფაქტობრივად ტყუილად იჭერდა. არგენტინელთა დაცვამ ბრაუნის ტრავმის შემდეგ საჯარიმო მოედანზე მეორე სართული ფაქტიურად გერმანელებს დაუთმო. შედეგმაც არ დააყოვნა: კუთხურიდან ორი მოწოდება და ორი გოლი! ხანდახან ისე გავა ხუთი და ათი თამაშიც კი, რომ თავდამსხმელები ერთხელაც ვერ გზავნიან კარში კუთხურიდან ჩამონოდებულ ბურთს.

განა შეიძლება იმის აღწერა, რა ხდებოდა ტრიბუნებზე და მოედანზე საფინანსო სასტვენის შემდეგ?! მწვანე მინდორზე გადაიჭრა ალბათ ხუთი ათასი კაცი მაინც. სტადიონის სახურავზე ჩამოკიდებული უცნაური, რალაც რაკეტისმაგვარი ფიგურებიდან ვერცხლის ქაღალდები გადმოიფრქვა და მზის სხივებზე ზღაპრულად აელვარდა. მოედანი





ოქრო-ვერცხლით მოფენილ თვალის მომჭრელად მბრჭყვიანავ ხალიჩას დაემსგავსა. ამოდ ცდილობდნენ არგენტინელი ფეხბურთელები თავი დაეხსნათ აღფრთოვანებული გულშემატკივრებისაგან.

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონატის ფლაგმანობაზე კვლავ აფრიანდა ოთხი წლის წინ დაშვებული არგენტინის ეროვნული თეთრ-ლურჯი ალამი.

ყველას ყურადღება მიიპყრო ერთმა უზარმაზარმა ტრანსპარანტმა: „ბოდიში, ბილარდო, და გმადლობთ!“

დიახ, როგორც იქნა, ამოისუნთქა საღვადო ბილარდო. როგორც იქნა, მიუზღეს საკადრისი მწვრთნელს, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე ეკამათებოდნენ, ლანძღავდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ.

ბილარდომ გაუძლო ყველა შეტევას, ფარხმალი არ დაუყრია და ბოლომდე იბრძოდა დასახული მიზნის მისაღწევად.

რატომღაც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ბილარდო ექიმი-გინეკოლოგია. პრესაში იმდენჯერ ატრიალეს ბილარდოს პროფესია, რომ ხალხს შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მანამდე ბილარდოს არავითარი კავშირი არ ჰქონოდა ფეხბურთთან.

გულშემატკივრებმა კი კარგად იციან, რომ თვითონ ბილარდო იყო კარგი ფეხბურთელი, თამაშობდა თავის დროზე ძალიან ცნობილ და უძლიერეს კლუბ „ესტუდიანტესში“. იგი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელია (1963–1970 წ.წ.), ხოლო ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა. ფეხბურთს რომ თავი დაანება, ამავე გუნდის მწვრთნელად დაინიშნა. შემ-

დეგ კვლავ მწვრთნელად მუშაობდა არგენტინასა და კოლუმბიაში.

არგენტინის ეროვნული ნაკრები რომ ჩაიბარა, პირველ რიგში გუნდში მარადონას მოწვევა გადანყვიტა. ბევრმა როდი გაიზიარა მისი აზრი. ამიტომაც ამბობდა არგენტინელთა ახალი მწვრთნელი: „სამი წელი მოვუნდი მტკიცებას, რომ მარადონა ყველაზე კარგი ფეხბურთელია მსოფლიოში. სამწუხაროდ, ყველას როდი სჯეროდა ჩემი სიტყვები. მე მგონი, ახლა მაინც დაიჯერეს ჩემი სიმართლე. მარადონამ მართლაც დიდებულად ჩაატარა ჩემპიონატი და, რაც მთავარია, ითამაშა სხვა-ნაირად, ვიდრე აქამდე თამაშობდა. მან შესძლო თამაშებში ეკისრა ლიდერის როლი და თან ყველა თავისი ჩანაფიქრი დაემორჩილებინა გუნდის ინტერესებისათვის. ინდივიდუალური რეიდებისა და კარში დარტყმის უფლებას მაშინ აძლევდა საკუთარ თავს, როცა თანამებრძოლები არ იყვნენ უკეთეს პოზიციაში. გყავდეს ასეთი ფეხბურთელი გუნდში, ეს ხომ საუნჯეა“.

და თუ მარადონამ ყველა თავისი შესაძლებლობა გუნდის ინტერესებს დაუქვემდებარა, ნამდვილად ბილარდოს დამსახურებაა. მარადონას ძალიან გაეხარდა, კაპიტნად რომ მიიწვიეს, სულ სხვა პასუხისმგებლობა იგრძნო, სულ სხვანაირად მოექცა მსოფლიო ჩემპიონატს.

ბილარდოს დამსახურება იყო სწორედ მარადონას ფსიქოლოგიური დამუშავება, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ იოლი როდი იყო გუნდის კაპიტნად დაგენიშნა მარადონა, როცა არგენტინის ნაკრებს ჰყავდა შესანიშნავი კაპიტანი, არგენტინელი გულშემატკივრების კერპი და

ამ ჩემპიონატამდე ნომერი პირველი ფეხბურთელი პასარელა.

ბილარდომ გაბედა სახიფათო ნაბიჯის გადადგმა და პასარელას ყველაფერი აუხსნა. თავის მხრივ პასარელამ დაამტკიცა, რომ იგი არამარტო კარგი სპორტსმენი, არამედ კარგი ადამიანიცაა და ნაკრები გუნდის ჭეშმარიტი პატრიოტიც. იგი ღირსეულად შეხვდა ბილარდოს გადანყვიტებებს, არც სკანდალი აუტეხია და არც გუნდიდან წასულა. პირიქით, როგორც გამოცდილი და ავტორიტეტული ფეხბურთელი, მხარში ამოუდგა ბილარდოს. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ფეხბურთელს ავადმყოფობამ არ მისცა საშუალება, მექსიკაშიც მოეხიბლა ხალხი თავისი დიდებული თამაშით.

„ფინალში გვრ და მარადონა!“ – ასეთი სათაურებით იბეჭდებოდა გაზეთებში წერილები.

ისეთი აზრიც კი შეიქმნა, თითქოს არგენტინელთა გამარჯვება მხოლოდ მარადონას დამსახურება იყო.

მიუხედავად მარადონაზე ჩემი ძალიან მაღალი შეხედულებისა, ამ აზრს ვერ გავიზარებ. არგენტინის გუნდი არცერთ გუნდს არ ჩამოუვარდებოდა თავისი სიძლიერით. ხოლო ამ ძლიერ გუნდს მარადონაც რომ დაემატა, იმიტომ გახდა უძლიერესი. განა ვარსკვლავები არ იყვნენ პუმპიდო, ბრაუნი, ბატისტა, განსაკუთრებით კი ვალდანო, ენრიკე და ბურუჩაგა?! სხვათა შორის ბრაუნი და ბრაზილიელი სულანო სეზარი უკვე გადაიბირა საფრანგეთის „ბრესტმა“, ხოლო მშვენიერი არგენტინელი მცველი ოლარტიკოეჩია შეიძინა საფრანგეთის „ნანტმა“, სადაც ჯერ კიდევ მექსიკის ჩემპიონატამდე თამაშობდა ბურუჩაგა.

აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ, რომ პასარელა დიდი დანაკლისი იყო არგენტინის ნაკრებისათვის. პირველისავე მატჩში დაიმტკვრა პასარელას შემდეგ ყველაზე კარგი მცველი კლაუსენიც, რომელიც პირდაპირ სამშობლოში გაგზავნეს. საბედნიეროდ, არგენტინელებს აღმოაჩნდათ მათი ღირსეული შემცველები.

ერთმა ისიც მითხრა, ფინალში ძირითადი დრო რომ 2:2 დამთავრებულიყო, დამატებით დროში გერმანელები გაიმარჯვებდნენო.

ყოველთვის მოცუბდა და მოცუბებს ასეთი ადამიანების ლოგიკა. არგენტინა იმიტომ არის ღირსეული ჩემპიონი და იმიტომ არის ძლიერი გუნდი, რომ თამაშის მოსაგებად

სავსებით „ეტეოდა“ ორ ტაიმში, თავისუფლად ჰყოფნიდა 90 წუთი.

შვიდი თამაშიდან არგენტინამ ექვსი მოიგო. ერთი ფრედ დაამთავრა, გაიტანა ყველაზე მეტი – 14 ბურთი. გამარჯვებისათვის არცერთ მატჩში არ დასჭირვებიათ დამატებითი დრო. და, მით უმეტეს, პენალტების სერია.

ვფიქრობ, საინტერესოა თვით მარადონას აზრი თავის თანაგუნ-

დელებზე: „ჩვენ ძალზე ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ფეხბურთელებს ერთმანეთისა კარგად ესმით. ამიტომაც ინდივიდუალურ თამაშს ზიანი არ მოაქვს. ეს, მგონი, უკვე დავამტკიცეთ, როცა ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ“.

დიახ, არ გენტინის ნაკრებს ნამდვილად არ აკლდა ვარსკვლავები, მაგრამ როცა ცაზე მზე ამოდის, ვარსკვლავები უკვე

ალარ სჩანან ხოლმე.

მართლაც იმოდენა მომნუსხველი ძალა აქვს მარადონას, რომ მოედანზე სხვათა თამაშს თითქმის ვეღარ ხედავ.

მექსიკის მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატი იყო მარადონას ჩემპიონატი. კარგი ფეხბურთელი ბევრია, მაგრამ მარადონა სულ სხვა. ისე, როგორც თავის დროზე სულ სხვანი იყვნენ დისტეფანო და პელე.

შახშანყერი მოაუახი სანაქიხო შექიბხის - კონფერეხაყიის თასის სიბხოოოუხი გუნრის შეპარგენოხა



საფანჯრითი ნიჟარა

ფეხბურთი და ღირსება



2006 წლის 9 ივლისის საღამოს ფეხბურთის გულშემატკივრები ტელეეკრანებთან ისხდნენ და ბერლინის „ოლიმპიაშტადიონის“ იარუსების გუგუნში, მატჩის დაწყებას ელოდნენ.

ადამიანები მსოფლიოს მეთვრამეტე საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩის საყურებლად ემზადებოდნენ და სურდათ ერთხელ კიდევ განეცადათ ფეხბურთელთა პროფესიული ოსტატობით და ვირტუოზული თამაშით მოგვრილი სიამოვნება.

ვილაცას იტალიის ნაკრების ტრიუმფის ნახვა უნდოდა, სხვას საფრანგეთის გუნდის მოგება ენატრებოდა, ზოგს კი მხოლოდ, ბრძოლის ხილვა და საბედისწერო სასწორის უმოწყალო ქანაობის შეგონება სურდა.

... მაგრამ იყო კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ტელეეკრანს ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა მიეჯაჭვა და როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს მიზეზი, თვით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე მეტი ვნებათაღელვით ავსებდა მაყურებელთა გულებს.

ფეხბურთს ზინედინ ზიდანი ტოვებდა, სპორტსმენი, რომელმაც 1998 წელს, საფრანგეთის ნაკრებთან ერთად, მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, 2000 წელს – ევროპის ჩემპიონატი და 2002 წელს, მადრიდის „რეალთან“ ერთად – ჩემპიონთა ლიგა, რომლის

ფინალშიც ლევერკუზენის „ბაიერს“ ულამაზესი გოლი გაუტანა და მატჩი „რეალის“ გამარჯვებით, 2:1 დაამთავრა.

ახლა კი, გულშემატკივრებს უნდოდათ ენახათ „ზიზუს“ კიდევ ერთი ლამაზი გოლი, უკანასკნელი გამარჯვება, მსოფლიო ჩემპიონობა და ტრიუმფით წასვლა მსოფლიო საფეხბურთო ასპარეზიდან, რადგან ეს მან განვლილი სპორტული გზით დაიმსახურა.

ცხადია, თვითონ ფეხბურთელსაც სურდა თავისი უკანასკნელი, ასე მნიშვნელოვანი მატჩი შთამბეჭდავად ჩაეტარებინა, თავგამოდებით ებრძოლა და გადამწყვეტი როლი შეესრულებინა საკუთარი გუნდის გასამარჯვებლად.

თითქოს იყო ამ ამბავში რაღაცა ზოგადკაცობრიული, რაც შეუნელებელ ინტერესს იწვევდა ზიდანში განსახორციელებელი ადამიანური ბედისადმი - ტრიუმფი თუ მარცხი?

როგორ დატოვებდა ლეგენდარული ფეხბურთელი ასპარეზს?

ერთი შეხედვით, თითქოსდა, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა როგორ წავიდოდა ზიდანი, როცა აქტიური მსოფლიო ფეხბურთიდან გაქრა პელე, გარინჩა, მარადონა...

... მაგრამ „ზიზუსაც“ ხომ ეძლეოდა ლამაზად წასვლის შანსი იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი და მისი სპორტული კარიერის დასასრული ერთმანეთს დაემთხვა?

მაშ რატომ არ უნდა გამოეყენებინა მას ეს შესაძლებლობა?!

პროფესიული ფეხბურთიდან წასლა ხომ პატარა სიკვდილია და აღდგომა, სხვა, ახალ ცხოვრებაში? ლამაზი სიკვდილის ფენომენი, მშვენიერი სიცოცხლის დასასრულს, როგორც ლოგიკური ნერტილი წინადადების ბოლოს, ხომ მუდამ ხიბლავდა ადამიანთა გულებს?!

ზიდანმა, შესაძლოა, სპეციალურად განიზრახა ფეხბურთიდან წასვლა სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან.

მან შოუს მოწყობა გადამწყვიტა. თამაში დაიწყო თუ არა, ცხადი გახდა, რომ „ზიზუს“ არ „გააბლატავენდნენ“.

მას მუდმივად მიჩენილი ჰყავდა რამდენიმე „მეთვალყურე“, რომლებიც პასის მიღებას შეუძლებელს ხდიდნენ, ხოლო თუ ბურთს, რაღაც სასწაულით, მაინც დაეუფლებოდა, თავგანწირვით ცდილობდნენ მის „ჩაკეტვას“. საჭიროების შემთხვევაში არც მოცეცხვაზე ამბობდნენ უარს. ფაქტიურად, იტალიის მთელი ნაკრები „ზიდანზე თამაშობდა“.

ნათელი იყო, მონინალმდევე ყველა ღონეს იხმარდა, რომ მისი პოტენციალი საფრანგეთის ნაკრებისთვის გამოუყენებელი დარჩენილიყო.

ფაქტიურად, ეს იყო ერთადერთი სწორი სტრატეგია, რომელსაც იტალიელებისთვის გამარჯვების მოტანა შეეძლო.

სხვა შემთხვევაში, დაუოკებელი თავდამსხმელი, ალბათ, თავისას იზამდა და მისეული, ლამაზი გარღვევებითა და გოლებით საკუთარ გუნდს გაამარჯვებინებდა.

მაგრამ შესაძლო იყო იტალიელების მიერ შემუშავებული ამგვარი სტრატეგია-ტაქტიკა უშედეგოც გამომდგარიყო, რადგან ზიდანი მეტისმეტად აქტიურობდა და სულ



უფროდაუფრო მეტი ძალისხმევა ხდებოდა საჭირო მის დასაოკებლად.

თამაშის დაწყებიდან მე-6 წუთზე, მორიგი შეტევისას, იტალიელებმა ფრანგი ნახევარმცველი მალუდა საჯარიმოში მოცულეს და ამით საკუთარი კარი აშკარა გოლისგან იხსნეს.

მე-7 წუთზე ზიდანმა პენალტი გაიტანა.

1:0 საფრანგეთის ნაკრების სასარგებლოდ!

ახლა ისე ჩანდა, „ზიზუს“ პროფესიონალიზმსა და ინდივიდუალიზმს უნდა გაემარჯვა.

... მაგრამ...

მხოლოდ 11-12 წუთის განმავლობაში უხაროდა საფრანგეთის გულშემატიკვარს.

თამაშის დაწყებიდან მე-19 წუთზე იტალიელმა მარკო მატერაციმ ანგარიში გაათანაბრა.

1:1!

ზინედინ ზიდანის და მარკო მატერაცი!

ისინი მე-19 წუთზე ჯერ მხოლოდ თითო გოლის ავტორები არიან, მაგრამ სწორედ ამ მატჩში გათამაშდება კლასიკური სცენა, რომლის მსგავსი ბევრჯერ ყოფილა პოლიტიკაშიც და ომშიც, ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც, ყველაზე ნაკლებად კი, ალბათ, მაინც სპორტში, სადაც მეტოქეობა უფრო



ვაჟკაცურ მორალსა და სამართლიან წესებზეა დამყარებული.

ზოგადად, ეს „კლასიკური სცენა“ ასეთია:

თითქმის გამარჯვებულ, დიდებით მოსილ, ნიჭით აღიარებულ ადამიანს გამოუჩნდება საბედისწერო აჩრდილი, ერთდროულად მდგარი, მისი პიროვნების პირისპირ და მოსიარულე, მისი მოღვაწეობის გასწვრივ. საშველს არ მისცემს და არ „ამოასუნთქებს“.

„აჩრდილი“ არ „სცნობს“ „მხვერპლის“ განვლილ გზას, მის საქმეებს, მისი შრომით მოპოვებულს. ის ტოლს არ უდებს მას და საკუთარი თავი არანაკლებად მიაჩნია. სინამდვილეშიც, ალბათ, სულ ცოტათი, ერთი მისხალით, ჩამორჩება, წინ გაჭრილ მეტოქეს, მაგრამ სწორედ ეს ერთი, „უძნელესი მისხალი“, პროფესიონალიზმის მწვერვალს რომ აშორებს მეშურნეს და მტრობის საბაბს ქმნის.

... და ებრძვის წესებით და წესების გარეშე. ებრძვის, სანამ არ დაამარცხებს, რადგან აღიარებული მეტოქის დამარცხება არის მისი ალზევების, მისი არსებობის გამართლების სანინდარი.

თამაშის მე-19 წუთზე, ჯერ კიდევ, არავინ იცის, ვინ არის ზიდანისთვის მატერაცი. ჯერ ყველაფერი ჩვეულებრივად. ერთმა იტალიის კარი დალაშქრა, მეორემ საფრანგეთის. ჯერ არცერთს არ გადაუღალავს სპორტული ეთიკის საზღვრები.

მხოლოდ ესაა, მატერაციმ, როგორც არავინ იცის გუნდში, იცის, რომ ზიდანს მოქმედების საშუალება არ უნდა მისცეს, ის მართლაც „აჩრდილივით“ ასდევნებია მას და „ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს“. ზიდანმა ანგარიში გახსნა, მატერაციმ – გაათანაბრა. ზიდანის

დრიბლინგს წამოიწყებს, უხეშად ჩაუშლიან და ახლა, თავის მხრივ, მატერაცი უტევს.

მართლაც ბედისწერასავით ასდევნებია.

არადიოთარი შოუ!

ზიდანმა ვერ უნდა გაიმარჯვოს! ფეხბურთის გულშემატიკვრები, რომლებიც მაშინ ამ თამაშს ტელევიზიით უყურებდნენ, ანდა სტადიონზე იყვნენ, დაბეჯითებით ვერ იტყვიან, რომ დაინახეს რა მოხდა მატჩის მეორე დამატებითი ტაიმის 109-ე წუთზე. უფრო მეტიც, დაკვირვებული მაყურებლების ის უმნიშვნელო ნაწილიც, ვინც მოახერხა და აღიქვა ინციდენტი, ვერ აღნიშნავს, რომ იმწამსვე გაიანჯრა მომხდარი, იმდენად დაუჯერებელი, წარმოუდგენელი და გამაოგნებელი იყო ის.

ტელემაყურებლები მხოლოდ შენელებული კადრების ნახვისას „მოვიდნენ აზრზე“, ხოლო სტადიონზე მყოფნი გაოცებულები ეკითხ-

ებოდნენ ერთმანეთს, თუ რატომ აძევებდა მსაჯი ზიდანს.

ფაქტი იყო, ზინედინ ზიდანის, „ზიზუს“, მსოფლიოს №1 და გულშემატიკვართა საყვარელი ფეხბურთელი, გამარჯვების ნაცვლად, სპორტული ეთიკის დარღვევისა და უფრო მეტიც, არაადამიანური საქციელისთვის სამარცხვინოდ ტოვებდა თავის უკანასკნელ მატჩს.

რატომ?

როდესაც ადამიანებმა საკუთარ თავს ამ შეკითხვით მიმართეს, პირველად რაც წარმოსახვით დაინახეს, იყო მოედნის მწვანე საფარზე გულადმა გაშლართული მარკო მატერაცი.

შემდეგ რასაც მიხვდნენ ის იყო, რომ ზინედინ ზიდანის და მარკო მატერაცი, იმ მომენტში, როცა მატერაცი დაეცა, ბურთისთვის არ იბრძოდნენ. ბურთი წინ იყო გაჭრილი. ისინი ზურგში იყვნენ, ერთმანეთის სიახლოვეს...

... და ზიდანმა მატერაციის მკერდში, თავის ისე ძლიერად „გლიჯა“, რომ ეს უკანასკნელი გონდაკარგული დაეცა.

ზინედინ ზიდანს ამგვარი საქციელის მიზეზი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში

სტადიონზე, იმ კონკრეტულ წამს, ასეთი მიზეზი არ ჩანდა.

დაკვირვებული მაყურებლები იმასაც მიხვდნენ, რომ ზიდანმა გამიზნულად, ბოროტი განზრახვით მოიქცა ასე.

ის შემთხვევით არ დაჯახებია მეტოქეს, არც მხარში დაურტყამს და არც თავში, რომელიც ბურთის ხშირად მოგერიების გამო, ფეხბურთელებს საკმაოდ გაძლიერებული აქვთ, არც სადმე, სხვა ადგილას...

მან მკერდში დაარტყა. უეჭველად, მშვენივრად იცოდა, რომ დიდი ფიზიკური დატვირთვისას ღრმა და გახშირებული სუნთქვის დროს მკერდში ძლიერი დარტყმა გონის დაკარგვას იწვევს.

ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებდა ზიდანის დანაშაულს. მაშ, ის ღირსი იყო მოედნიდან გაძევებისა, მსოფლიო ფეხბურთის სამარცხვინოდ დატოვებისა.

... მაგრამ მაყურებელს არ შეეძ-

ლო დაეჯერებინა, რომ ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო საქციელი ზიდანმა უმიზეზოდ ჩაიდინა.

... და რას აკეთებს „აჩრდილი“ მაშინ, როცა მისმა მოწინააღმდეგემ ესესაა საბოლოო გამარჯვება უნდა იხეიმოს?! როცა მოწინააღმდეგე დიდების კვარცხლბეკზე აი, ამ წამს უნდა ავიდეს?

„აჩრდილი“ ამ დროს დაძაბული და გაფაციცებულია, ცდილობს მახე დაუგოს „მტერს“, ოღონდ ისე, რომ სხვებმა ვერ შეამჩნიონ, სხვების თვალში მსხვერპლი მტყუანი, ხოლო „მონადირე“ ალაღმართალი უნდა იყოს.

კანცელარიის მოხელე ამას ქალღმერთსა და კანონებს ამოფარებული აკეთებს. მან მშვენივრად იცის, სად სცოდავდა კანონის წინაშე „თავსგასული“ შეფი და კრიტიკულ მომენტში მომკვდინებელ დარტყმას აყენებს, თან ისე, რომ კანონი, სამართალი, მიღებული თამაშის წესები მოხელის სასარგებლოდ მეტყველებდეს. შეფი მარცხდება.

ზიდანის დაოკება პატიოსანი წესების გამოყენებითაც, უხეში თამაშითაც, მოცელვებითაც შეუძლებელი ხდება.

„ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ეს ერთი „თავსგასული“ კაცი?“ – ფიქრობს მარკო მატერაცი.

... და რა უნდა გააკეთოს, ასეთ შემთხვევაში, ზიდანის „საბედისწერო აჩრდილმა?“

ცხადია მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიაყენოს ყველაზე სუსტ, დაუცველ ადგილას, თან ისე, რომ გულშემატკივრების თვალში თვითონ უცოდველი დარჩეს.

მატერაციმ მშვენივრად იცის



„ზიზუს“ ექსცენტრულობის ამბავი. იცის, რომ ის ახლა დაძაბულია: ძალიან უნდა გოლი, გამარჯვება, ტრიუმფი. ანგარიში კი ერთით ერთია. ახლა მარჯვედ მიყენებული დარტყმა დიდებისმოყვარე და საძულველ „მტერს“ მდგომარეობიდან გამოიყვანს. მატერაცი არ შეუძლია დაუშვას „ზიზუს“ გამარჯვება, რადგან მის თვალში ის დაუმსახურებლად განდიდებული არამზადაა.

მატერაცი თვითონაც დაძაბულია. მან დარტყმა უნდა მიაყენოს, მაგრამ სად?! სად არის ზიდანის სუსტი წერტილი?!

რალა თქმა უნდა, მის პირად ცხოვრებაში, რომელიც მახის დამგებმა შესანიშნავად იცის.

... და მატერაცი, ისე რომ მხოლოდ ზიდანმა გაიგოს, რალაცას, ძალიან შეურაცხყოფელს ეუბნება მას.

მათ მეტს არავის ესმის, მატერაციის „არაფერი დაუშვებია“, მიზანი მიღწეულია.

მატერაციმ ქვეცნობიერად იცის, რომ ამას რალაც გაუგონარი, წარმოუდგენელი ამბავი უნდა მოჰყვას.

ექსცენტრული და დიდებისმოყვარე, გულშემატკივრისგან განეზივრებული „ზიზუს“, დიდი ემოციური დაძაბვის მომენტში, ამ დარტყმას ველარ გაუმკლავდება და თუნდაც გაუძლოს, მის ნებისყოფას, გარკვეულწილად, ლიბო მოეშლება. ეს კი აუცილებლად თამაშზეც აისახება.

ზიდანის „წამოეგო“!

მსაჯისგან გაძევებული, ის ტოვებს თავის უკანასკნელ მატჩს! ტოვებს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში გაუგონარი დანაშაულით. ტოვებს გაძევებული, გამტყუნებული!

ის დამარცხებულია!

ამ ინციდენტის გამო უზიდანოდ დარჩენილი მისი გუნდიც დამარცხებულია.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 1:1 მთავრდება. ანგარიში არც დამატებულ ტაიმებში იცვლება და პენალტების სერია ინიშნება. საბოლოოდ იტალიელები ამარცხებენ საფრანგეთის ნაკრებს ანგარიშით – 5-3.

დღემდე უცნობია, ზუსტად რა სიტყვები უთხრა მატერაციმ ზიდანს, მაგრამ ერთ საკითხში ყველა გულშემატკივარი თანხმდება: „აუცილებლად უთხრა რალაც ძალიან მწარე“.

დღემდე ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ამ ფინალური მატჩის ბედი სწორედ მარკო მატერაციის სიტყვებმა და ზიდანის გაუნონასწორებელმა საქციელმა გადაწყვიტა.

უთანხმოება, უფრო მეტად, სხვა საკითხშია, კერძოდ, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ მოვლენის მთავარი გმირი – ზინედინ ზიდანის?

ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მთავარი პროფესიული პასუხისმგებლობაა, ამბობენ, რომ ზიდანს შეურაცხყოფა უნდა მოეთმინა.

ხოლო, ვინც უპირატესობას ღირსებას ანიჭებს, ამართლებს მას.


ჩვენ კი, მივცეთ საშუალება მკითხველს, როგორც უნდა, ისე იფიქროს.



ვანდალი




ბრაზილია - 2014




სტადიონები, სადაც მსოფლიოს მე-20 საფეხურთო ჩემპიონატის მატჩები გაიმართება



დედაქალაქი ბრაზილია, გარინჩას სახელობის ეროვნული სტადიონი.



ქალაქი რიო-დე-ჟანეირო, ლეგენდარული მარაკანა



ქალაქი პორტუ-ალეგრი, ბეირა-რიო.



ქალაქი სალვადორი, ფონტე-ნოვა.



ქალაქი ნატალი, არენა დას-დუნასი.



ქალაქი მანაუსი, ნოვო ვიგალდო.



ქალაქი კუიაბა, ნოვო ვერდაო.



ქალაქი კურიტიბა, ბაიშადა არენა.



ქალაქი რესიფი, არენა პერნამბუკუ.



ქალაქი სან პაულო, სან პაულო არენა.



ქალაქი ფორტალეზა, კასტელაო.



ქალაქი ბელუ-ორიზონტი, მინეირაო.



საფეხბურთო ტვინსაღრღნელი

1) რომელი მოთამაშე გახდა მსოფლიოს 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი?



2) მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე, რომელი ქართველი ფახბურთელი იყო საბჭოთა კავშირის კაპიტანი?



3) რამდენჯერ აქვს ესპანეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოგებული?



4) დაასახელეთ გუნდი, რომელმაც 1982 წელს, ევროპის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალიდან თბილისის „დინამო“ გამოთიშა გათამაშებას?



5) რომელმა გუნდმა მოიგო 1980 წელს უეფას თასი?



6) რომელმა გუნდმა მოიგო 1996 წელს თასების თასი?



7) რომელმა გუნდმა მოიგო 1973 წელს ჩემპიონთა თასი?



8) ვინ იყო მსოფლიოს 1938 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი?



9) რომელი მოთამაშე იყო მსოფლიოს 1950 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე ურუგვაის ნაკრების კაპიტანი?



10) რომელმა ნაკრებმა მოიგო 1989 წელს სამხრეთ ამერიკის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატი?



11) უეფას თასის 1977-78 წლების გათამაშებაში თბილისის „დინამო“ დანიურ „კოპენჰაგენს“ ანგარიშით 2:1 მოუგო. რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა დინამოელთა მხრიდან ორი გოლი?

„კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო ტვინსაღრღნელის“ პასუხები:


- 1) პიერლუიჯი კოლინა.
- 2) მანჩესტერ იუნაიტედი.
- 3) პიერ ისაა.
- 4) მილანის.
- 5) სენტენარიო.
- 6) თენგიზ სულაქველიძე.
- 7) ტოტო სკილიაჩი.
- 8) ორჯერ.
- 9) სამჯერ.
- 10) არგენტინის.
- 11) ჰოლანდია.

გვერდით უნდა უნდა:
<https://www.facebook.com/JournalCommentator>





„ადიდასის“ ბურთი „ტანგო-ესპანია“, მსოფლიოს მე-12 ჩემპიონატი, ბრაზილია-არგენტინა - 1982 წელი.
ბრაზილიელი ზიკო არგენტინელთა წინააღმდეგ.



2013 წლის „მძროს გურთის“ ფელოგული
პრიზტიანო რონალდო
(პორტუგალიის ნაკრები,
კლუბი – მადრიდის „რეალი“).

ISSN 2298-0970



9 772298 097000